პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 146 (12658) | შაბათი, 22 ივნისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1963 წლის 21 ივნისი № 153 ქ. მოსკოვი

საბჭოთა ხალხის უდიდესი გამარჯვების, მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების შესანიშნავი გმირობის აღსანიშნავად, რომლებმაც უზრუნველყვეს ხანგრძლივი კოსმოსური ერთად ფრენა თანამგზავრი ხომალდებისა „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6", რომლებსაც მართავდნენ პოდპოლკოვნიკი ვ. თ. ბიკოვსკი და მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ვ. ტერეშკოვა, ვბრძანებ:

1963 წლის 22 ივნისს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში მიცემულ იქნეს სალუტი 20 საარტილერიო ზალპით.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **რ. მალინოვსკი**

# ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ც ნ ო ბ ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**1963 წლის** 21 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ლ. თ. ილიჩოვის მოხსენებისა „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები".

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: პ. ა. სატიუკოვი (გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი), ა. ა. ფედინი (სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი), ვ. ვ. გრიშინი (საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე), ნ. კ. ჩერკასოვი (სსრ კავშირის სახალხო არტისტი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები მ. ა. სუსლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. ანდროპოვი და ჩამოაყალიბეს, ერთი მხრივ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და, მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და სხვა მოძმე პარტიებს შორის არსებულ უთანხმოებათა არსი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ასე უნდა მოქცეულიყო იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ არ დაიცვა მიღწეული შეთანხმება ღია პოლემიკის შეწყვეტის შესახებ, და გამოაქვეყნა თავისი ამა წლის 14 ივნისის წერილი.

ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, პლენუმის ყველა მონაწილე გაეცნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 14 ივნისის წერილს, რომელიც მათ დაურიგდათ.

პლენუმზე ვრცელი მკაფიო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც პლენუმის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

საღამოს სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების გამო „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები".

პლენუმმა აგრეთვე ერთხმად მიიღო დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი დღეს იბეჭდება პრესაში.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი;

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად ამხ. ნ. ვ. პოდგორნი.

* * *

პლენუმმა მიიღო ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან გაიყვანა ამხ. ს. დაულენოვი, რომელმაც სახელი გაიტეხა ულირსი საქციელით.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან გაიყვანა ამხ. ს. ს. ვარენცოვი პოლიტიკური სიფხიზლის დაკარგვისა და ულირსი საქციელისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

# პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1963 წლის 21 ივნისის დადგენილება

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხმა, ახორციელებს რა XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას, დიდი წარმატებანი მოიპოვა მატერიალური წარმოების, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში.

**პარტიის საქმიანობის მთავარი შედეგი ის არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა, იზრდება კომუნისტური იდეალებისა და მაღალი მორალური პრინციპების ადამიანი, მილიონობით ადამიანის მსოფლმხედველობა პირველად ისტორიაში ყალიბდება მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერულ საფუძველზე; ახლა საბჭოთა ხალხს აქვს კომუნიზმის აშენების კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა.**

ეს შედეგი მოწმობს, რომ ნამდვილად გაიმარჯვა მარქსიზმ-ლენინიზმმა — სწორმა და საიმედო კომპასმა მშრომელი კაცობრიობის ისტორიულ ბრძოლაში კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

ჩვენი სამშობლოს ხალხებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, არა მარტო აიღეს თავიანთ ხელში ძალაუფლება, დაიცვეს სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრები, დაძლიეს საუკუნოვანი ჩამორჩენილობა, არამედ უმოკლეს ისტორიულ ვადაში დაამტკიცეს სოციალიზმის უდავო უპირატესობანი კაპიტალიზმთან შედარებით საზოგადოების ცხოვრების გადამწყვეტ სფეროში — მატერიალური წარმოების სფეროში. ახლა შორს აღარ არის ის დრო, როცა სსრ კავშირი გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც სამრეწველო წარმოების აბსოლუტური მოცულობის მხრივ, ისე ერთ სულ მოსახლეზე მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივაც.

საბჭოთა ხალხის გადამწყვეტმა წარმატებებმა კომუნისტურ მშენებლობაში, სოციალისტური ქვეყნების ყველა ხალხის მიღწევებმა შექმნეს თვისებრივად ახალი განლაგება კლასობრივი ძალებისა მსოფლიო ასპარეზზე, როცა იმპერიალიზმს ვეღარ ძალუძს დაამარცხოს სოციალიზმი სამხედრო გზით და როცა ზედიზედ მარცხდება იგი ორი სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ახლა იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეები მთავარ იმედს ამყარებენ იდეოლოგიურ დივერსიაზე სოციალისტური სახელმწიფოების მიმართ, აღვირახსნილ ანტიკომუნიზმზე, ამასთანავე უარს არ ამბობენ სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ფორმებზე. ანტიკომუნიზმის ალმით იმპერიალისტები მიმართავენ სოციალისტური სისტემის ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ დისკრიმინაციას, გაფაციცებით აღვივებენ გამალებულ შეიარაღებას. ყოველი საშუალებით ისინი ცდილობენ გადაიტანონ „იდეების ომი" სოციალისტურ ქვეყნებში. იდეოლოგიების მშვიდობიანი თანაარსებობის ლოზუნგის ნიღბით ისინი ცდილობენ შემოათრიონ ჩვენს საზოგადოებაში „არაპარტიული" ხელოვნების, „შემოქმედების აბსოლუტური თავისუფლების", უიდეობისა და აპოლიტიკურობის, „თაობათა კონფლიქტის" ყალბი კონცეფციები, ცდილობენ გახრწნან იდეურად მერყევი ადამიანები.

იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის ქადაგება ღალატია მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ღალატია მუშათა და გლეხთა საქმისადმი.

რაც უფრო იზრდება სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, რაც უფრო ღრმავდება მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი, რაც უფრო მწვავდება კლასობრივი ბრძოლა მსოფლიო ასპარეზზე, მით უფრო იზრდება მარქსისტულ-ლენინური იდეების როლი კომუნიზმისათვის საბრძოლველად მასების შეკავშირებასა და დარაზმვაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად საბჭოთა ხალხის წინაშე, თავის ინტერნაციონალურ ვალად მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე მიაჩნია ის, რომ შეურიგებელი შემტევი ბრძოლა აწარმოოს კაცთმოძულე იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, დაიცვას მშრომელები მისი გამხრწნელი გავლენისაგან, კიდევ უფრო აქტიურად აზიაროს მასები კომუნიზმის დიად იდეებს, განუწყვეტლივ იზრუნოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის, მისი განვითარებისა და გამდიდრებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მოძმე მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან ერთად შეიმუშავა მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, გაშალა გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, აგრეთვე რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.

სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების დიადი გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების პირობების შექმნა მოამზადა საბჭოთა საზოგადოების მთელმა წინა განვითარებამ, განსაკუთრებით უდიდესმა სოციალურ-ეკონომიურმა ღონისძიებებმა, რომლებიც პარტიამ განახორციელა უკანასკნელ ათწლეულში. პარტიამ ამხილა და უარყო თავის XX ყრილობაზე ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტი და ბოლო მოუღო პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევას, სუბიექტივიზმსა და დოგმატიზმს ეკონომიკაში, პოლიტიკასა და იდეოლოგიაში, ფართო შესაძლებლობანი შეუქმნა ხალხთა მასების ინიციატივასა და აქტივობას.

განვლილი ათწლეული აღინიშნა საბჭოთა ხალხის შესანიშნავი მიღწევებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ღრმა რევოლუციური გარდაქმნებით ეკონომიკის ყველა დარგის ხელმძღვანელობაში, კომუნიზმის მშენებლობის ძირეულ პრობლემათა შემოქმედებითი დამუშავებით, პარტიის მრავალმხრივი საქმიანობით მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ერთობა, მუშათა და გლეხთა კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, ახალ აყვავებას მიაღწია სოციალისტურმა დემოკრატიამ. დიდი გამარჯვება მოიპოვა ჩვენი სახელმწიფოს აქტიურმა და მოქნილმა ლენინურმა საგარეო პოლიტიკამ — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკამ. განვლილ ათწლეულში განსაკუთრებით შემოქმედებითი და ნაყოფიერი იყო პარტიის თეორიული საქმიანობა. ყველაზე სრულად იგი განასახიერეს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა და სკკპ პროგრამამ.

საზოგადოების განვითარების მეცნიერულ ხელმძღვანელობას რომ ახორციელებს, პარტია თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა და აქცევს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად გამოყენებასა და განვითარებას, იდეოლოგიურ მუშაობას, განუწყვეტლივ უზრუნველყოფს იმას, რომ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები შეესაბამებოდეს სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებებს საზოგადოების ცხოვრებაში, საბჭოთა ხალხის შემოქმედებით ამოცანებს.

პარტია აქტიურ შეტევას აწარმოებს კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. იდეოლოგიური ფრონტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტია კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის შესვლა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფრონტის გაფართოება, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და კომუნისტური იდეოლოგიის ბრძოლის გამწვავება მსოფლიო ასპარეზზე განაპირობებენ ახალ ეტაპს პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში.

ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მოქალაქის აღზრდის პრობლემა განუყრელად დაკავშირებულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის, საბჭოთა ადამიანების შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლასთან. წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრა შორეული მომავლის ამოცანა როდია, ეს არის ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას დღეს ყველა საშუალებით, რომლებიც აქვს ჩვენს პარტიას, ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

**თანამედროვე პირობებში პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველყოს სკკპ პროგრამის განხორციელება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ახალი ადამიანის აღზრდა; გააძლიეროს პოლიტიკური სიფხიზლე, გაშლილი ფრონტით შეუტიოს იმპერიალისტურ იდეოლოგიას, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებს.**

კომუნიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდის საფუძველია კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაწარმოებები, სკკპ პროგრამა, ჩვენი პარტიის დოკუმენტები. საჭიროა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თითოეულმა მშრომელმა და უწინარეს ყოვლისა თითოეულმა კომუნისტმა შეითვისოს მიზნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია პარტიის პროგრამაში, აქტიურად იბრძოლოს ამ მიზნების განხორციელებისათვის.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანათა გადაჭრისათვის საბჭოთა საზოგადოებას აქვს ყველა საჭირო პირობა. მაგრამ ამ პირობებს საკმაოდ როდი იყენებს ბევრი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

დღემდე არ არის აღმოფხვრილი იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტა ცხოვრებისაგან, ფორმალიზმი, მისწრაფება შეაფასონ მისი შედეგები მხოლოდ განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობით. იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ყოველთვის როდი ითვალისწინებენ მშრომელთა მომზადების დონეს, ეროვნულ და ასაკობრივ შემადგენლობას. მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა მნიშვნელოვან ფენებზე არ ვრცელდება მუდმივი იდეური გავლენა. დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლის ბევრ რაიონში. სერიოზული ნაკლოვანებანია ახალგაზრდობის აღზრდაში. მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში შესუსტდა მუშაობა ქალთა შორის, აღმოფხვრილი არ არის ქალისადმი ფეოდალურ-ბაიური დამოკიდებულების გადმონაშთები.

ბევრი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია ყოველდღიურად არ იბრძვის იმისათვის, რომ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპები გახდეს თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოფაქცევის ნორმა, სუსტად რაზმავს მასებს ადამიანთა შეგნებასა და ყოფაქცევაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ გადამჭრელი შეტევისათვის. მუქთახორები, მომხვეჭები, ქურდები, სპეკულანტები, ბიუროკრატები — ეს ჩვენთვის უცხო იდეოლოგიისა და მორალის უკანასკნელი თავშესაფარია. მათ წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა, გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საბჭოთა კანონების მთელი ძალა.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი სუსტად წარმართავს და ამოწმებს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებას, არ აანალიზებს იდეოლოგიური დაწესებულებების, შემოქმედებითი კავშირების, გამომცემლობების, ჟურნალ-გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის მუშაობის შინაარსს, ცუდად უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას, ურიგდება სერიოზულ ხარვეზებსა და შეცდომებს იდეოლოგიურ მუშაობაში, უზრუნველობას იჩენს კადრების მარქსისტულ-ლენინური წრთობის საკითხებისადმი.

ამ ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მშენებლობის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის. იდეოლოგიური საქმიანობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებანი ამ დიდი გარდაქმნების ლოგიკური განგრძობაა. კომუნისტური ეკონომიკისა და კულტურის შექმნა, ახალი ადამიანის აღზრდა მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციული ფორმების შემდგომ გაუმჯობესებას, მასებზე იდეურ-პოლიტიკური გავლენის ახალი მეთოდებისა და საშუალებების შემოქმედებითად გამოყენებას, იდეოლოგიური პროცესებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)



ლ. ი. ბრეჟნევი.
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



ნ. ვ. პოდგორნი.
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

# პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1963 წლის 21 ივნისის დადგენილება

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების გამო

(გაგრძელება)

## I.

პარტიის, სახელმწიფო ორგანოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და ყველა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის [illegible] იდეოლოგიური მუშაობის [illegible] სკკპ პროგრამიდან [illegible]:

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება; [illegible] კომუნისტური [illegible];

[illegible] ხალხის აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით; გადამჭრელი ბრძოლა ანტიკომუნიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა ფორმის წინააღმდეგ.

**საბჭოთა პატრიოტიზმი** თავისი არსით ინტერნაციონალურია და შეუთავსებელია ეროვნული შეზღუდულობის ტენდენციებთან, რა ფორმითაც უნდა გამოვლინდეს ისინი. სსრ კავშირის ყველა ხალხის სიყვარული თავისი მრავალეროვანი სამშობლოსადმი ორგანულად შეხამებულია სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებისადმი, მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი პატივისცემისა და ძმური მეგობრობის გრძნობასთან.

საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულის ჩანერგვა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი, უპირველესი ამოცანაა. საბჭოთა ადამიანები განიცდიან პატრიოტულ სიამაყეს თავიანთი მშვენიერი სამშობლოსათვის, თავიანთი დიადი ლენინური პარტიისათვის. მათ ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ყოველივე, რაც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში, — შექმნილია მათი ხელით, ხალხის თავდადებული შრომით, დიდი მეცადინეობისა და ენერგიის დაძაბვის შედეგად.

ამიტომ არ შეიძლება მათი გულისწყრომა არ გამოიწვიონ ყოველგვარმა ობივატელებმა, უქნარებმა, წამგლეჯებმა, მუქთახორებმა, რომლებიც გულმოდგინედ ხვრეპენ სახალხო დოვლათის ჯამიდან და არაფერს არ აძლევენ საზოგადოებას. საბჭოთა ადამიანები ვერ შეეთვისებიან იმათ, ვინც კარგავს საბჭოთა მოქალაქის ღირსებას, ვინც ვერ ამჩნევს ხალხის გიგანტურ მიღწევებს, ჩვენს ცხოვრებაში გმირულს, მზად არის ჩირქი მოსცხოს ყველაფერს, რაც ძვირფასია მშრომელებისათვის, რაც მათ ოფლითა და სისხლით მოიპოვეს, რაც ჩვენს ძალასა და დიდებას შეადგენს.

საბჭოთა ხალხი, ჩვენი პარტია ვერ დაეთანხმებიან იმათ, ვინც მოღუშული სახით ხვდება ჩვენი ცხოვრების ნათელი მხარეების ასახვას, ვინც „შემლამაზებლის" იარლიყს აკრავს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც ჩვენი ცხოვრების დიდსა და კეთილშობილურ სიმართლეს, ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლის ჰეროიკასა და რომანტიკას ასახავენ.

საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ უკეთ იმუშაონ საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდაზე, რათა ისინი კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების, საბჭოთა ხალხის დიადი მიღწევებით, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის ღირსებით სიამაყის, სულისკვეთებით აღიზარდონ და მუდამ მზად იყვნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

პლენუმი პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს გააძლიერონ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის მუშაობა, განამტკიცონ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარი, აქტიურად შეუწყონ ხელი სსრ კავშირის ხალხთა კულტურების ურთიერთგამდიდრებას, შეურიგებლად ებრძოლონ ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, კუთხურობას, ეროვნული განსაკუთრებულობისა და განკერძოებულობის ქადაგებას, წარსულის იდეალიზაციას, რეაქციული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების ქება-დიდებას. ნაციონალიზმი მთელი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება სოციალიზმს, მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, ხალხთა მეგობრობას, ვერ ეგუება სოციალისტური ერების განვითარებისა და დაახლოების ობიექტურ პროცესს.

საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებამ და თავდაცვისუნარიანობის ზრდამ და, უწინარეს ყოვლისა, მათმა სამეურნეო წარმატებებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა, უმაგალითო ძალის ანტიკოლონიურმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩაგრული ხალხებისა, რომლებმაც შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწიეს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წარმატებებმა შეცვალეს ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე მშვიდობისა და სოციალიზმის სასარგებლოდ, იმპერიალიზმისა და ომის ძალების საზიანოდ.

სკკპ და საბჭოთა მთავრობა განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებენ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის ლენინურ პოლიტიკას, მათი სოციალური წყობილების მიუხედავად, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა გამოხატულებას პოულობს, კერძოდ, საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების აქტიურ ბრძოლაში საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობისათვის.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარულ გეზს იმპერიალიზმის ბანაკი უპირისპირებს სულ უფრო გამალებულ შეიარაღებას, ხალხების მოტყუების პოლიტიკას, აგრესიისა და საერთაშორისო პროვოკაციების პოლიტიკას.

სკკპ და საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობენ იმით, რომ თანამედროვე პირობებში ომი არ არის გარდაუვალი, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანებული ძალ-ღონით, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი მშვიდობისმოყვარული ძალების ბრძოლის მძლავრი გაშლით შესაძლებელია ომის თავიდან აცილება. მაგრამ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს არ შეუძლიათ არ გაითვალისწინონ, რომ, სანამ იმპერიალიზმი არსებობს, რჩება აგრესიული ომების შესაძლებლობაც. საჭიროა ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ იმპერიალიზმის პოლიტიკამ, მისმა ყველაზე აგრესიულმა და ავანტიურისტულმა ძალებმა შეიძლება მსოფლიო თერმოატომური ომი გამოიწვიონ, ამიტომ ხალხებს განსაკუთრებული სიფხიზლე მართებთ.

საბჭოთა სახელმწიფო იმისათვის, რომ მოუმზადებელი არ აღმოჩნდეს, ყველაფერს აკეთებდა და გააკეთებს, რათა კვლავაც განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება, სოციალისტური სამშობლოსათვის, კომუნიზმის დიადი იდეალებისათვის ერთგულების სულისკვეთებით აღზარდოს მთელი ხალხი, მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალები. მომავალშიაც ყოველმხრივ უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი არმიისა და ფლოტის ტექნიკური აღჭურვილობა, სრულვყოთ სამხედრო ოსტატობა, საბჭოთა მეომრების საბრძოლო მზადყოფნა და იდეური წრთობა, რომ მუდამ მზად იყონ შეასრულონ სამშობლოს დაცვის წმიდათა წმიდა მოვალეობა.

პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყველა საბჭოთა ადამიანი საბჭოთა კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით უნდა აღზარდონ, მუდმივი ყურადღებით და ზრუნვით უნდა მოეკიდონ საბჭოთა მეომრებს, უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენი სამშობლოს უშიშროების განმტკიცება, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განმტკიცება მთელი ჩვენი ხალხის ღვიძლი საქმეა.

პლენუმი პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა გავამახვილოთ პოლიტიკური სიფხიზლე იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიების წინააღმდეგ, იმპერიალიზმის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მორალურად განაიარაღონ საბჭოთა ადამიანები.

საჭიროა უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად განვმარტოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სიდიადე და ზეიმი, გრანდიოზული მიღწევები სოციალიზმისა, რომელიც სწრაფად ვითარდება, მისი სულ უფრო თვალსაჩინო და უდავო უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე, რომელმაც თავისი დრო მოჭამა და აგონიისა და ხრწნის მდგომარეობაში იმყოფება. საჭიროა უკეთ მოეწყოს საგარეოპოლიტიკური ინფორმაცია და იმ დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც კულტურულ ურთიერთობას ახორციელებენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

პარტიის, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის იდეოლოგიური მუშაობის დედააზრს უნდა შეადგენდეს ის, რომ თითოეულ საბჭოთა ადამიანს ჩაუნერგონ **სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი.**

თითოეულ მშრომელს უნდა ჩავუნერგოთ იმის ნათელი გაგება, რომ შრომის უმაღლესი ნაყოფიერების უზრუნველყოფა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა, კომუნიზმის აშენების მთავარი პირობაა; ფართოდ უნდა განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება, დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება, პატივისცემით მოვეპყრათ შრომის გმირებს, ვიბრძოლოთ მშრომელთა შემოქმედებითი თაოსნობისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების წინააღმდეგ; დავრაზმოთ საზოგადოებრიობის მთელი ძალები მუქთახორების, ლოთებისა და ხარმაცების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პლენუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ შემდგომ განვითარდეს მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, რომელშიც ორგანულად არის შეხამებული ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, ახალი ტექნიკის დაუფლებისათვის, მისწრაფება ცოდნისადმი, ახალი ურთიერთობა ადამიანთა შორის, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის დამკვიდრება.

საჭიროა იდეური ზემოქმედების ყველა საშუალებით დავნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება **საზოგადოებრივი სიმდიდრისადმი,** აღმოვფხვრათ ზოგიერთი ადამიანის შეხედულება საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებაზე, როგორც სხვის, სახელმწიფო საკუთრებაზე, ჩავუნერგოთ მათ მისწრაფება გაამრავლონ სამშობლოს სიმდიდრენი, გამოუშვან მაღალი ხარისხის პროდუქცია, შეამცირონ მისი თვითღირებულება, აწარმოონ შეურიგებელი ბრძოლა უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, თვალის ახვევის ფაქტების, ნაკისრ ვალდებულებებისადმი უპატივცემლობის წინააღმდეგ, გავშალოთ კომუნისტური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საჭიროა ყოველდღიურად აღვზარდოთ საბჭოთა ადამიანები **კოლექტივიზმის** — სოციალიზმისა და კომუნიზმის ერთ-ერთი ძირითადი საფუძვლის სულისკვეთებით, ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ კოლექტივის აღმზრდელობითი როლი.

წინადადება უნდა მიეცეს პარტიულ კომიტეტებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ **საგიტაციო-მასობრივი მუშაობის** ურღვევი კავშირი სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებთან, აღმოფხვრან ფორმალიზმი და უსულგულობა, აწარმოონ პოლიტიკური მუშაობა დიფერენციულად მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში, აღზარდონ კოლექტივის ყველა წევრი შრომის საუკეთესო ნიმუშებით, ფართოდ გაავრცელონ მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთა გამოცდილება, განავითარონ ადამიანთა ამხანაგობისა და ურთიერთ დახმარების გრძნობა.

შრომა და ყოფაცხოვრება კომუნისტური ცხოვრების წესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილებია. პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, პროფკავშირებს, კომკავშირს გაშალონ ბრძოლა კომუნისტური ყოფაცხოვრების განმტკიცებისათვის, მისი მაღალი კულტურისათვის, წარსულის ყველა გადმონაშთის აღმოფხვრისათვის ჩვენს ყოფაცხოვრებასა და ოჯახურ ურთიერთობაში.

მტკიცედ უნდა ვიბრძოლოთ რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ, უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ მეცნიერულ-ათეისტური მუშაობა. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა საქმით უნდა შევუერთოთ მოძრაობას კომუნისტური ურთიერთობისათვის ყოფაცხოვრებაში.

პლენუმი წინადადებას აძლევს პარტიულ კომიტეტებსა და პარტორგანიზაციებს გააძლიერონ ყურადღება მშრომელთა ყოფაცხოვრების საკითხებისადმი, მათი კულტურული დასვენების ორგანიზაციისადმი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების —პარტიულ ორგანიზაციათა აღმზრდელობითი მუშაობის დასაყრდენი პუნქტების საქმიანობისადმი. დაუცხრომლად დანერგონ ფიზიკური კულტურა ყოფაცხოვრებაში, რადგან ფიზიკური აღზრდა, განსაკუთრებით სკოლაში, საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის და შრომისუნარიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, მორალური სიმტკიცისა და ნებისყოფის, ჯანსაღი და კულტურული დასვენების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. პარტიული კომიტეტებისა და საბჭოთა ორგანოების ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს უყურადღებობას კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული მუშაობისადმი ბევრ დასახლებულ პუნქტში, განსაკუთრებით სოფლად და ახალშენებათა რაიონებში.

მთელი საბჭოთა ხალხის აღზრდა კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით, ყველა საბჭოთა ადამიანის მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება მოითხოვს, რომ კომუნისტებმა და უპარტიოებმა ყოველი ღონისძიებით განავითარონ **მარქსისტულ-ლენინური თეორიის** შესწავლა. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა უნდა წარმოებდეს ცხოვრებასთან განუყრელი კავშირით, უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მიღებული ცოდნა ეხმარებოდეს მშრომელებს მიაღწიონ საუკეთესო შედეგებს წარმოებაში, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კომუნისტური მორალის დამკვიდრებას საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია ამაღლდეს **მეცნიერების** როლი ხალხის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, იდეურ-მეცნიერულ აღზრდაში. საბჭოთა მეცნიერებამ მოწინავე პოზიციები უნდა დაიკავოს მსოფლიო მეცნიერებაში, ცოდნის ყველა დარგში. მეცნიერებამ უნდა აზიაროს მშრომელები მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებას. საბჭოთა მეცნიერების საპატიო მოვალეობაა გაავრცელონ ცოდნა მასებში.

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა** მუშაკების უმნიშვნელოვანესი ამოცანებია განაზოგადონ მასების ცოცხალი პრაქტიკა და ისტორიული გამოცდილება კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, გაბედულად, შემოქმედებითად განავითარონ რევოლუციური თეორია, იბრძოლონ მისი იდეური სიწმინდისათვის; მოაწყონ შემოქმედებითი დისკუსიები ძირითად ფილოსოფიურ, ეკონომიურ, ისტორიულ, სამართლისა და მეცნიერების სხვა პრობლემებზე.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოციალიზმის კომუნიზმად გადაზრდის, შრომის ნაყოფიერების გადიდების პრობლემების კომპლექსურ შესწავლას, გააქტიურდეს მუშაობა სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში.

ჩვენმა მეცნიერებმა უფრო ღრმად უნდა გააანალიზონ ორი დაპირისპირებული მსოფლიო სისტემის ბრძოლის, კაპიტალისტური წყობილების რღვევის, რევოლუციური მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პროცესები, შეისწავლონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობის შემდგომი განმტკიცების გზები და ფორმები, მათი განვითარების საერთო კანონზომიერებანი.

მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის რევოლუციური თეორიის — მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, პარტიის პოლიტიკა, კომუნიზმისაკენ წინსვლის გზები, ვიყოთ ახალი ცხოვრების აქტიური და შეგნებული შემოქმედი.

ამიტომ პარტიის იდეოლოგიური ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა გავაუმჯობესოთ მარქსიზმ-ლენინიზმის **პროპაგანდის** — მთელი იდეოლოგიური მუშაობის გადამწყვეტი რგოლის ორგანიზაცია, ავამაღლოთ მისი იდეური დონე და სრულვყოთ მასების პოლიტიკური განათლების ფორმები.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ შემდგომ განუვითარონ კომუნისტებსა და უპარტიოებს ცხოველი ინტერესი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ღრმად დაუფლებისადმი. ამასთან პარტია გადაჭრით ილაშქრებს ადმინისტრირებისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური განათლების ორგანიზაციაში, დეკლარაციულობისა და მედავითნეობის წინააღმდეგ პარტიულ პროპაგანდაში. პლენუმი აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ სწავლებაში თვითგანათლების მეთოდის ჯეროვნად შეუფასებლობა ადგილებზე ამცირებს მის ქმედითობას, სერიოზულ ზიანს აყენებს კომუნისტებისა და უპარტიოების იდეური დონის ამაღლებას. საჭიროა საქმით გადავიტანოთ სიმძიმის ცენტრი თეორიის დამოუკიდებელ შესწავლაზე, ბოლომდე აღმოვფხვრათ პროპაგანდის ჩამორჩენა ცხოვრებისაგან, კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანებისაგან. პოლიტიკური სწავლა უნდა აიგოს კომუნისტებისა და უპარტიოების მომზადების დონის, მათი საქმიანობის ხასიათის, ინტერესების, ნებაყოფლობითობის პრინციპის გათვალისწინებით სწავლების ფორმების არჩევაში.

პლენუმს მიაჩნია: ხელმძღვანელმა კადრებმა, მუშებმა, და კოლმეურნეებმა მუდამ და ღრმად რომ შეისწავლონ ეკონომიური თეორია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამაღლდეს მათი აქტივობა შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოყენებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა, რომ გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია, შემდგომ გაფართოვდეს მშრომელთა მონაწილეობა წარმოების მართვაში.

პლენუმი ავალებს პარტიულ კომიტეტებს კვლავაც განავითარონ პოლიტიკური და საწარმოო პროპაგანდის ისეთი მასობრივი ფორმები, როგორიც არის კომუნისტური შრომისა და მოწინავე გამოცდილების სკოლები, ოსტატთა სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები, ლექტორიუმები.

დაევალოს პარტიულ კომიტეტებს გადაჭრით გააუმჯობესონ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმე, მუდამ გაუწიონ მათ კვალიფიციური დახმარება, უზრუნველყონ მათი სპეციალიზაცია მუშაობის პროფილის მიხედვით, ბოლო მოუღონ სხვა საზოგადოებრივი დავალებებით პროპაგანდისტთა გადატვირთვის მავნე პრაქტიკას, ყოველი ღონისძიებით წაახალისონ მათი კეთილშობილური შრომა. საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი პარტიის იდეოლოგიური კადრების მომზადებისა და ხელახალი მომზადების გაუმჯობესებისათვის.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს პარტიული კონტროლი სალექციო პროპაგანდის ხარისხისადმი, გაუმჯობესდეს მუშაობა პროპაგანდისტებთან პარტიის საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებში, საქალაქო კომიტეტებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიულ კომიტეტებში, სამრეწველო-საწარმოო პარტიულ კომიტეტებში უნდა შეიქმნას შტატის ლექტორთა პატარა ჯგუფები, რომლებიც თავიანთ გარშემო აერთიანებენ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე შტატგარეშე კვალიფიციურ პროპაგანდისტთა ფართო წრეებს. ყურადღება უნდა მიექცეს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციათა გამოყენებას ამ მუშაობაში.

თანამედროვე პირობებში ხალხის კომუნისტური აღზრდისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს **პრესას, რადიოს, კინოსა და ტელევიზიას** — იდეოლოგიური ფრონტის დამკვრელურ ძალებს.

პრესის, რადიოს, კინოსა და ტელევიზიის ძირითად ამოცანებად ჩაითვალოს: ჩამოაყალიბონ საბჭოთა ადამიანების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და კომუნისტური მორალი; სისტემატურად და ღრმად გააშუქონ პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მუშაობა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, წარმოების პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, კულტურული მშენებლობის პრობლემები; გაშალონ მწვავე და პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელიც მიმართულია ჩამორჩენილობის, ბიუროკრატიზმის, მფლანგველობის, მუქთახორობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ, ფართოდ გაავრცელონ დადებითი მაგალითები.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა საკმაოდ სრულ გაშუქებას წამყვან ცენტრალურ გაზეთებში; გარდაიქმნას ცენტრალურ და ადგილობრივ გამომცემლობათა ქსელი იმის გათვალისწინებით, რომ მოისპოს უწყებრიობა და კუთხურობა წიგნების გამოცემაში, შეიქმნას მსხვილი სპეციალიზებული გამომცემლობანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი ადამიანის აღზრდაში, კომუნისტური კულტურის ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს **ლიტერატურისა და ხელოვნების** შემდგომ განვითარებას.

პლენუმი მხურვალედ იწონებს იმ იდეებსა და დებულებებს, რომლებიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა გამოსვლებში შემოქმედებით მუშაკებთან შეხვედრების დროს და რომლებიც გამოხატავენ ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, პარტიის ზრუნვას მათი შემდგომი აყვავებისათვის.

პარტია მხარს დაუჭერს ყოველივე ჭეშმარიტად მნიშვნელოვანს, რაც ასახავს მხატვრების მისწრაფებას გააშუქონ და მკაფიო სახეებით წარმოსახონ კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის გრანდიოზული საგმირო საქმეები, საბჭოთა ადამიანის გმირობის სიდიადე, და კვლავაც უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებს ყოველგვარი იდეური მერყეობის, იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის ქადაგების წინააღმდეგ, ფორმალისტური ოინბაზობის, უფერულობისა და ხელოსნობის წინააღმდეგ მხატვრულ შემოქმედებაში, საბჭოთა ხელოვნების — სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობისათვის.

პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და საქალაქო კომიტეტებს, გააქტიურონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა შემოქმედებით ორგანიზაციებში, აღზარდონ თითოეული ხელოვანი კომუნიზმისათვის მტკიცე იდეურ მებრძოლად, რომელსაც შეგნებული ექნება თავისი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის განმტკიცებას, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დიდმნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს მკაფიო ნაწარმოებების შექმნა ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის.

უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებისა და მოზრდილი მოსახლეობის **ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას;** უნდა გავაფართოოთ საღამოსა და დაუსწრებელი განათლება, წავახალისოთ მეცადინეობა კულტურის სახალხო უნივერსიტეტებში, გავავრცელოთ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა.

პლენუმი აღნიშნავს, რომ მუშაობამ, რაც განხორციელდა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად, უკვე მოიტანა დიდი დადებითი შედეგები. გაუმჯობესდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, გაძლიერდა ახალგაზრდობის მისწრაფება შეიძინოს საწარმოო ჩვევები, გადაიდგა დიდი ნაბიჯი ცხოვრებასთან სკოლის დაახლოების საქმეში.

ამასთან ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებანი მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისა და პროფესიული მომზადების დაყენებაში; ზოგიერთი სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია, სახალხო განათლების ორგანო უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, რის შედეგად საწარმოო სწავლება ხშირად იქცევა დროის უსარგებლო ხარჯვად.

პლენუმს არ მიაჩნია სწორად სახალხო განათლების ზოგიერთი მუშაკის ცდები შემოფარგლონ სკოლის ამოცანა მხოლოდ სწავლებით, ხელოვნურად გაწყვიტონ სწავლებისა და აღზრდის პროცესის ორგანული ერთობა. პლენუმი ყურადღებას აქცევს პედაგოგიური მეცნიერების სერიოზულ ჩამორჩენას მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის პრობლემათა დამუშავებაში.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სახალხო განათლების ორგანოებს უზრუნველყონ ის, რომ თანამიმდევრულად და მთლიანად სრულდებოდეს კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ, სწავლება შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, გააუმჯობესონ ბავშვების ანტირელიგიური და ესთეტიკური აღზრდა, აღმოფხვრან მოსწავლეთა გადამეტტვირთვა და მიაღწიონ მათი ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას, სკოლიდან მოსწავლეთა გამოკლების შეწყვეტას. მოითხოვონ პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, სახალხო განათლების ორგანოებისაგან ძირეულად გააუმჯობესონ საწარმოო სწავლება.

პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიის ერთგული დასაყრდენი ხალხის კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლაში, მისი უახლოესი თანაშემწე ახალი ადამიანის აღზრდაში არის სახალხო მასწავლებელი. პარტიის პოლიტიკასთან შეუთავსებელია ის, რომ მთელ რიგ ადგილებში ჯეროვნად არ ზრუნავენ მასწავლებლისათვის, მისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ზრდისათვის, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის, ჯეროვნად არ აფასებენ მასწავლებლის საზოგადოებრივ როლს.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის ამოცანაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სახალხო მეურნეობისათვის, მეცნიერებისა და კულტურისათვის, ჩამოუყალიბოს მათ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და კომუნისტური შეგნებულობა, აღზარდოს მაღალი მოქალაქეობრივი თვისებანი. საჭიროა აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაში, მეტი დრო გამოვყოთ სტუდენტთა დამოუკიდებელი სასწავლო და მეცნიერული მუშაობისათვის, აღმოვფხვრათ სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შინაარსის ჩამორჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონესთან შედარებით.

დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შეიმუშაოს წინადადებანი, რომლებიც გაითვალისწინებენ სწავლებისა და აღზრდის სისტემისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, როგორც მოსწავლეთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საფუძვლის, სწავლების გაუმჯობესებას უმაღლეს სასწავლებლებში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და წარმოების მოწინავე გამოცდილების დაუფლებას, მეცნიერული კვლევის განვითარებას უმაღლეს სასწავლებლებში.

პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს აღმოფხვრას დიდი ნაკლოვანებანი პროფესიულ სწავლებაში, უზრუნველყოს ის, რომ მუშათა კადრების მომზადების მთელი სისტემა შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონეს, განახორციელოს მტკიცე ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

## II.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში იზრდება პარტიის ხელმძღვანელი როლი, მისი პასუხისმგებლობა ყველა საბჭოთა ადამიანის კომუნისტური აღზრდისათვის.

პარტიული კომიტეტები და პარტორგანიზაციები ღრმად უნდა სწვდებოდნენ იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შინაარსს ყველა სამრეწველო საწარმოში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შემოქმედებითი ორგანიზაციე-

(დასასრული მე-3 გვერდზე).

# პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1963 წლის 21 ივნისის დადგენილება

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების გამო

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ბის, მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის დაწესებულებათა საქმიანობას, უზრუნველყოფდნენ ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის ერთობას. საჭიროა სრულვყოთ იდეოლოგიური საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ორგანიზაცია, მეთოდები და ფორმები.

იდეოლოგიური მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის საჭიროა, რომ ადამიანთა კომუნისტური აღზრდის, კადრების იდეური წრთობის საკითხებზე ყოველდღიურად მუშაობდეს ყველა პარტიული ორგანო თავიდან ბოლომდე. პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ იზრდება **პირველადი პარტიული ორგანიზაციების** როლი და პასუხისმგებლობა სკკპ პროგრამისა და წესდების განხორციელებისათვის, ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, მორალური კოდექსის პრინციპების განხორციელებისათვის, თითოეული საბჭოთა ადამიანის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის გადიდებისათვის.

პლენუმი გმობს კამპანიურ და დეკლარაციულ, კანცელარულ-ბიუროკრატიულ სტილს ცალკეული პარტიული კომიტეტების იდეოლოგიურ მუშაობაში. ბეჯითად უნდა განვავითაროთ **ლენინური სტილი** იდეოლოგიურ საქმიანობაში, რომელშიც შეერთებულია მაღალი პრინციპულობა, კომუნისტური იდეურობა, შეურიგებლობა მტრული იდეოლოგიისადმი, რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი გამოყენება და განვითარება, თეორიისა და პრაქტიკის ერთობა, მასების დარწმუნება და მათი დარაზმვა კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანათა შესასრულებლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოითხოვს ყველა ხელმძღვანელი მუშაკისაგან განუწყვეტლივ მიიღოს პირადი მონაწილეობა იდეოლოგიურ მუშაობაში.

პლენუმი ავალებს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფრო აქტიურად გამოიყენონ იდეოლოგიურ მუშაობაში კრიტიკა და თვითკრიტიკა — კომუნისტური იდეურობისა და ეთიკის სულისკვეთებით თითოეული პიროვნებისა და მთლიანად კოლექტივის აღზრდის მძლავრი საშუალება.

თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო იზრდება მოთხოვნები იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბნის მუშაკებისადმი. საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები, რომლებმაც ზედმიწევნით იციან მარქსისტულ-ლენინური თეორია, კარგად ერკვევიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკაში, კულტურული მშენებლობის პრობლემებში, მასების ენერგიული და უნარიანი ორგანიზატორები.

პლენუმი ფრიად დიდ მნიშვნელობას ახიჭებს იმას, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში მონაწილეობდეს ინტელიგენცია: მასწავლებლები, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკები, აგრონომები, ექიმები, ლიტერატურის, ხელოვნების, პრესის მოღვაწეები. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ინტელიგენციას უფრო აქტიურად გაამრავლოს საბჭოთა საზოგადოების სულიერი სიმდიდრენი, დაეხმაროს პარტიას ხალხის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

პლენუმი წინადადებას აძლევს პარტიულ კომიტეტებს კვლავაც ყოველი ღონისძიებით მხარი დაუჭირონ საზოგადოებრიობის შემოქმედებით აქტივობასა და ინიციატივას საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის ამოცანათა გადაჭრაში. პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი საწყისების სულ უფრო მზარდი განვითარება არ უნდა იწვევდეს საზოგადოებრიობის ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებას, პირიქით, მოითხოვს ამ ხელმძღვანელობის გაძლიერებას, პარტიულ ორგანიზაციათა მუდმივ ყურადღებას საზოგადოებრივი ინიციატივის ყველა ფორმისადმი იდეოლოგიურ მუშაობაში.

პლენუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას ახალგაზრდობაში, **სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის** როლის გადიდებას ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრაში. საჭიროა ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ შრომისადმი — საზოგადოების ყველა მატერიალური და სულიერი სიმდიდრის წყაროს, პატივისცემა, იმის გაგება, რომ თითოეული ადამიანის, ვინც სარგებლობს საერთო მატერიალური და კულტურული დოვლათით, წმიდათა წმიდა მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ დოვლათის შევსებაში, რომ მან სულ უფრო მეტად დააკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების ახლანდელ და მომავალ თაობათა მოთხოვნილებანი.

უნდა აღვზარდოთ თითოეული ადამიანი კომუნიზმისათვის მედგარ და მამაც მებრძოლად, თავისი ქვეყნის მუყაით პატრონად, ადამიანი, რომელიც დიდად სცემს პატივს ყოველივეს, რაც მოიპოვეს და შექმნეს უფროსმა თაობებმა, რომელიც თავისი შრომით ამრავლებს სამშობლოს სიმდიდრეებს, ღირსებასა და დიდებას.

პლენუმი ავალებს პარტიულ კომიტეტებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, გაზარდონ მათი აქტივობა და ინიციატივა საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

პლენუმს მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია **პროფკავშირების** როლის შემდგომი ამაღლება მშრომელთა აღზრდის საქმეში. პროფკავშირებმა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ისე უნდა მოაწყონ, რომ იგი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლასთან, წარმოების მუშებისა და მოსამსახურეების ცხოვრების კონკრეტულ პირობებთან, მათი კულტურული და ტექნიკური დონის ამაღლების ამოცანებთან, მშრომელთა შემდგომ ჩაბმასთან საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. პროფკავშირების მნიშვნელოვანი ამოცანაა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი გაძლიერება. პროფკავშირებმა უნდა გააუმჯობესონ კლუბების, წითელი კუთხეების, ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელმძღვანელობა, ყოველმხრივ განავითარონ ფიზიკური კულტურა და სპორტი.

თანამედროვე პირობებში, როცა **მშრომელთა დეპუტატების საბჭოები** ხალხის ყოვლისმომცველი ორგანიზაცია გახდა, საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ საბჭოებმა, რომლებიც მრავალრიცხოვან კომისიებსა და მშრომელთა თვითმოქმედ ორგანიზაციებს დაეყრდნობიან, ყოველდღიურად აწარმოონ აღმზრდელობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ყოველ ქალაქში, დაბაში, სოფელში, ყოველ სახლში. პლენუმი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ავალებს თავიანთი ღონისძიებანი წარმართონ კულტურის ყველა კერების განვითარებისათვის, მშრომელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თავიანთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიიჩნიონ.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გადაჭრით გაუმჯობესდეს **იდეოლოგიური მუშაობა** სოფლად და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, ყველა პარტიულ კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, სამეურნეო ორგანიზაციებს ავალებს განახორციელონ ღონისძიებანი სოფლის იდეოლოგიურ დაწესებულებათა კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის, აამაღლონ სოფლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მუშაობისათვის, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და კოლმეურნეების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პოლიტიკური, საერთო განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლებისათვის. პლენუმი მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამრეწველო სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს და სამრეწველო-საწარმოო პარტკომებს ავალებს ყოველმხრივ გააფართოონ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ურთიერთობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებთან, გააძლიერონ ქალაქის კულტურის დაწესებულებათა დახმარება სოფლისათვის.

იდეოლოგიური მუშაობის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ კულტურული მშენებლობის 1964-1970 წლების გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მატერიალურ-ტექნიკური საშუალების კომპლექსურ განვითარებას და სახალხო განათლების, კულტურისა და იდეოლოგიური მუშაობის სხვა დარგების კადრების მომზადებას, სასწავლებლებისა და კულტურის დაწესებულებების სწორ ტერიტორიულ განლაგებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, ყველა პარტიულ კომიტეტსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციას ავალებს ამ დადგენილების შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იქნება იდეოლოგიური მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, მისი ქმედითობის ამაღლება ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში, კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტაში.

* * *

პარტიის წინაშე, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულია კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები.

მშრომელთა რევოლუციურ ენერგიაში პარტია ხედავს სამყაროს გარდაქმნის მძლავრ და უშრეტ წყაროს. და არ არის პარტიული ორგანიზაციების უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები, ვიდრე ხალხის რევოლუციური სულისკვეთების განვითარება, ფართო გზის მიცემა მასების შემოქმედებისათვის ცხოვრების ყოველ დარგში, შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარი კონსერვატიზმისა და მოდუნების, ობივატელური გულგრილობის წინააღმდეგ, გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი, შეასრულებენ სკკპ პროგრამას, XXII ყრილობისა და ახლანდელი პლენუმის გადაწყვეტილებებს და ძირეულად გააუმჯობესებენ იდეოლოგიურ მუშაობას, კიდევ უფრო აამაღლებენ ხალხის შემოქმედებითს აქტივობას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანათა განხორციელებისათვის, დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემდგომი გამარჯვებისათვის.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1963 წლის 21 ივნისის დადგენილება

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სავსებით და ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის პოლიტიკურ მოღვაწეობას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალების შემდგომი შეკავშირებისათვის, აგრეთვე ყველა კონკრეტულ მოქმედებასა და ღონისძიებას, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განახორციელა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ურთიერთობაში.

პლენუმი მოწონებით აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით თანამიმდევრულად და განუხრელად ახორციელებდა და ახორციელებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ერთსულოვნად მიიღეს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირებმა 1957 და 1960 წლებში.

2. მოწონებულ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 18 ივნისის განცხადება ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის 14 ივნისის წერილთან დაკავშირებით.

3. დაევალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებთან მომავალი შეხვედრის დროს იხელმძღვანელოს შემდეგით:

განუხრელად განახორციელოს ხაზი, რომელიც ჩვენმა პარტიამ მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX, XXI და XXII ყრილობებზე, კომუნისტურ პარტიათა თათბირებზე და რომელიც გამოხატულია დეკლარაციასა და განცხადებაში და სავსებით დაადასტურა ცხოვრებამ, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარების პრაქტიკამ და საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს და კვლავაც თანამიმდევრულად განახორციელებს მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების შეკავშირების, არსებულ უთანხმოებათა აღმოფხვრის ხაზს მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კვლავაც ისწრაფვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე განამტკიცოს ძმური მეგობრობა და ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ ხალხებს შორის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის, აგრეთვე სხვა მოძმე პარტიებს შორის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის, ჩვენი საერთო საქმის — კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად უარყოფს, როგორც უსაფუძვლოსა და ცილისმწამებლურს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოხდომებს ჩვენი პარტიისა და სხვა კომუნისტური პარტიების, სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებათა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც შემუშავებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. ყრილობათა გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც ერთსულოვნად მოიწონეს მთელმა საბჭოთა ხალხმა, საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ, უდიდესი დამრაზმველი ძალაა ჩვენი ქვეყნის კომუნისტურ მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს იმით, რომ არ აწარმოოს ღია პოლემიკა კომუნისტურ მოძრაობაში, და გამოთქვამს იმედს, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მხრივ სიტყვით კი არა, საქმით დაიცავს მიღწეულ შეთანხმებას ღია პოლემიკის შეწყვეტის შესახებ.

ჩამოაყალიბოს და დაიცვას მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიცია მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მთავარ პრინციპულ საკითხებში, აგრეთვე განმარტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიცია სსრ კავშირის კომუნისტური მშენებლობის ძირეულ საკითხებში, რომლებიც დაადასტურა თვით ცხოვრებამ და ერთსულოვნად მოიწონეს მოძმე კომუნისტურმა პარტიებმა.

# ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტისათვის შვეციაში, ნორვეგიასა და დანიაში

შვეციის, ნორვეგიისა და დანიის მთავრობებმა დამატებით იმისა, რომ სთხოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს ეწვიოს შვეციას, ნორვეგიასა და დანიას ოფიციალურ ვიზიტად, სურვილი გამოთქვეს რათა ნ. ს. ხრუშჩოვი ამ ქვეყნებში ჩავიდეს ყოველ დროს, რომელიც კი მოსახერხებელია საბჭოთა მთავრობის მეთაურისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა აცნობა შვეციის, ნორვეგიისა და დანიის მთავრობებს, რომ მადლობით გამოიყენებს ამ ქვეყნებში ოფიციალურ ვიზიტად ჩასვლის შესაძლებლობას, რათა პირადად შეხვდეს შვეციის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ერლანდერს, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ გერჰარდსენს, დანიის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ კრაგსა და ამ ქვეყნების სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, აგრეთვე გაეცნოს შვედი, ნორვეგიელი და დანიელი ხალხების ცხოვრებასა და შრომას.

შეთანხმების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი შვეციაში, ნორვეგიასა და დანიაში ნავარაუდევია მომავალი წლის გაზაფხულზე ვიზიტის ზუსტი დრო დამატებით იქნება შეთანხმებული დიპლომატიური არხებით. (საკდესი).

# გულითადი მილოცვები

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან მოდის დეპეშები, რომლებშიც გამოთქმულია მხურვალე მილოცვა გმირობის გამო, რაც ჩაიდინეს საბჭოთა კოსმონავტებმა ვალერი ბიკოვსკიმ და ვალენტინა ტერეშკოვამ. დეპეშებში ხაზგასმულია, რომ ეს გაფრენა ცხადყოფს სოციალისტური საზოგადოების, მისი მეცნიერებისა და ტექნიკის სწორუპოვარ უპირატესობას მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

მისალმებანი მიღებულია საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის პალმირო ტოლიატისაგან, ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, კანადის კომპარტიის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტისაგან, არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ჩილის კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და მაროკოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ალი იატასაგან, ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალური მდივნის ეზეკიას პაპაიოანუსაგან.

* * *

ამხანაგებმა ი. ცედენბალმა და ჟ. სამბუმ ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მონღოლი ხალხის სახელით უგულითადეს მილოცვას უთვლიან და ყოველ სიკეთეს უსურვებენ საბჭოთა ხალხს ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას გაფრენასთან დაკავშირებით. (საკდესი).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტში

## იმის მასობრივი შემოწმების შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ნათესების მოვლა და რამდენად მზად არიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, „სოფლტექნიკის" გაერთიანებები, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციები სასოფლო-სამეურნეო კულტურების 1963 წლის მოსავლის აღებისა და დამზადებისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო კომიტეტებს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებს, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფებს დაავალა ამა წლის ივნის-ივლისში მოაწყონ იმის მასობრივი შემოწმება, თუ როგორ მიმდინარეობს ნათესების მოვლა, განსაკუთრებით სათოხნი კულტურების — სიმინდის, ბოსტნეულის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ბამბის, მზესუმზირას ნათესებისა, აგრეთვე რამდენად მზად არიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, „სოფლტექნიკის" გაერთიანებები, პურის მიმღები პუნქტები, ბამბის ქარხნები, ზეთსახდელი ქარხნები, ჭარხლის პუნქტები, სამომხმარებლო კოოპერაციის მიმღები პუნქტები, საავტომობილო, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები მარცვლეულის, ხამი ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების 1963 წლის მოსავლის აღებისა და დამზადებისათვის.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებს რჩევა მიეცათ ამ სამუშაოს შესასრულებლად შექმნან საზოგადოებრივი კომისიები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, „სოფლტექნიკის" გაერთიანებებში, აგრეთვე დამამზადებელ პუნქტებში, საავტომობილო, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში. კომისიებს სათავეში უნდა ჩაუდგნენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფების ხელმძღვანელები და წევრები, კომიტეტის ინსპექტორები და სხვა მუშაკები. ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი პუნქტების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკებმა, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა, პროფკავშირული ორგანიზაციების, „კომკავშირული პროჟექტორის" შტაბებისა და რაზმების აქტივისტებმა. შემოწმების მსვლელობაში მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ:

— დროულად და ხარისხოვნად წარმოებდეს ნათესების მოვლა, განსაკუთრებით სათოხნი კულტურებისა და სათესლე ნაკვეთების დამუშავება, დამატებითი კვება, ბრძოლა მცენარის მავნებელთა და დაავადებათა მოსასპობად, ინერგებოდეს ახალი აგროტექნიკური ხერხები და მეთოდები;

— მომზადებული იყოს მოსავლის ასაღებად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, საშრობი აგრეგატები, მექანიზებული კალოები, სასაწყობო მეურნეობა, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, უზრუნველყოფილი იყოს მეურნეობა მანქანების შეკეთებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით, კვანძებითა და აგრეგატებით;

მომზადებული იყოს საავტომობილო, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების 1963 წლის მოსავლის გადასაზიდად და უზრუნველყოფილი იყოს ტრანსპორტი საწვავი და საცხები მასალებით;

— შემუშავებული იყოს მოსავლის აღების გეგმები და დავალებები, განყოფილებებში, ბრიგადებში, რგოლებში, ყურადღება მიაქციონ შრომის ორგანიზაციას და სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსავლის აღების წარმატებით დამთავრებასთან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაკომპლექტებას კომბაინერებით, მემანქანეებით, მექანიკოს-მძღოლებით, მეკუზნავეებით, მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმღებებით;

— სრულდებოდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი მშენებლობის გეგმები, საწყობების, გადახურული კალოებისა და მარცვლეული კულტურების (თესლის, ფურაჟის, სასურსათო და სადაზღვევო მარაგის), ხამი ბამბის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესანახი მოედნების რემონტი, დამამზადებელი პუნქტების, საწყობების, საცავების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახი ფარდულებისა და მოედნების მშენებლობის, რემონტისა და მომზადების გეგმები;

— მოწყობილი იყოს „სოფლტექნიკის" რაიონულ განყოფილებათა მუშაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოსამარაგებლად სათადარიგო ნაწილებით და ეხმარებოდნენ მათ მოსავლის ასაღები მანქანების რემონტის შესრულებასა და დროულად მომზადებაში.

— უზრუნველყოფილი იყოს მისაღები პუნქტები და ლაბორატორიები საჭირო მოწყობილობით, ინვენტარით, მექანიზაციის საშუალებებითა და სასაწყობო მეურნეობით, შერჩეული და დაკომპლექტებული იყოს მეურნეობები მიმღებებით, ლაბორანტებით, მუშების კვალიფიციური კადრებით.

— მოწყობილი იყოს სოფლად მოსავლის აღების პერიოდში საზოგადოებრივი კვება, ვაჭრობა, საბავშვო დაწესებულებათა მუშაობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

მასობრივი შემოწმების მსვლელობა ფართოდ უნდა გააშუქოს პრესამ, უნდა განიხილონ ბრიგადების, განყოფილებების საერთო კრებებმა, კოლმეურნეობების გამგეობებმა, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებმა; ოპერატიულად უნდა აღმოიფხვრას გამოვლინებული ნაკლოვანებანი და გაუმჯობესდეს ნათესების მოვლისა და მოსავლის აღებისათვის მზადების მთელი მუშაობა.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი



**თავის** გამოსვლაში კინორეჟისორმა **გ. ნ. ჩუხრაიმ** აღნიშნა, თუ რა გიგანტური მუშაობა გასწია ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ნახევარი საუკუნის წინათ რუსეთში კვარს ანთებდნენ, დღეს კი კოსმოსურ სივრცეებში ვუშვებთ ჩვენს ამაყ ხომალდებს, და მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს ჩვენს მეცნიერებას, ჩვენს ტექნიკას, ჩვენს აზრს.

საზღვარგარეთ კაპიტალისტურ ქვეყნებში, განაგრძო ორატორმა, თხზავენ ყოველგვარ თეორიას უცნაური რუსული ხასიათის შესახებ, ავრცელებენ ყოველგვარ სისულელეს იმიტომ, რომ არ სურთ უთხრან თავიანთ ხალხს სიმართლე იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ძალა. ამ „თეორიების“ შემქმნელებმა იციან, რომ ჩვენი ძალა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა დაგვეძლია ყველა და ყოველგვარი სიძნელე, ჩვენი იდეების ძალაა, მარქსიზმ-ლენინიზმის ...

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, თქვა მან, დაკავშირებულია განუყრელი ძმობით, ცხოვრობს როგორც კარგი, მოსიყვარულე და ერთსულოვანი ოჯახი, სადაც ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის არის. სოციალიზმის ბოროტი მტრებიც კი, რომლებიც იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ შეუძლებელია მრავალეროვნული სახელმწიფოს არსებობა, იძულებული არიან ენას კბილი დააჭირონ.

ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის ლენინური კურსის თანამიმდევრულმა განხორციელებამ, რომელიც XX ყრილობამ შეიმუშავა, ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების აღდგენამ უზრუნველყო ყველა ეროვნების მშრომელთა მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის ფართო განვითარება, უმაგალითოდ დააჩქარა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდის ტემპი.

შვიდწლედის წლებში, განაცხადა ორატორმა, უზბეკეთის სახალხო მეურნეობაში ბანდდება იმდენი სახსრები, რამდენიც დაბანდდა წინა 20 წლიწადში. პირდაპირ თვალწინ იცვლის სახეს რესპუბლიკა. იზრდება ახალი ქალაქები და სო- ...

...

პლენუმმა აგრეთვე ერთხმად მიიღო დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“.

**21 ივნისს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა.

(საქინფორმი).

## „კომუნისტის“ სპორტი

## დინამოელთა ტურნირი ჩეხოსლოვაკიაში

**ჩეხოსლოვაკიის** ქ. პარდუბიცეში მიმდინარეობს სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში.

გუშინ რედაქცია პარდუბიცეში ტელეფონით დაუკავშირდა საკავშირო კატეგორიის მსაჯს გ. ქორქოლაძეს, რომელიც თან ახლავს ჩვენს გუნდს, მას ვთხოვეთ მოეთხრო, თუ როგორ მიმდინარეობს ტურნირი.

აი რა გვიამბო გ. ქორქოლაძემ:

თბილისის დინამოელთა რიგებში გარდა საქართველოს კალათბურთელებისა არიან პეტროვი და ხრინინი (მოსკოვის „დინამო“). პირველ დღეს ჩვენს გუნდს (სასტარტო ხუთეული — ლექავა, მინაშვილი, ალთაბაევი, კაზანჯიანი, უგრეხელიძე) პაექრობა ჰქონდა ჩინეთის ძლიერ კოლექტივთან და გაიმარჯვა 74:58 (32:28). დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: პოლონეთი — გდრ 56:49, რუმინეთი-ბულგარეთი 60:47, ჩეხოსლოვაკია-უნგრეთი 56:44.

20 ივნისს თბილისელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს, მათ დაამარცხეს პოლონელი კალათბურთელები 105:63.

## მეთხუთმეტე ტურის ფინიში

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. შეხვედრის შედეგია 3:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

რედაქტორის მოადგილე
**გ. ვარდოსანიძე.**


## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

**ტელევიზია**

22 ივნისი
18.00-22.00 — კინოს საღამო.

**თეატრები**

22 ივნისი

**რუსთაველის სახელობის** — ფიროსმანი (მე-9 აბონ. მე-7 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — რომეო და ჯულიეტა (მე-10 აბონ. მე-6 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — პალატა (მე-7 აბონ. მე-10 სპექტაკლი), **სანკულტურის** — პროკურორ მაიარის საქმე, **ფილარმონიის საზაფხულო** — მარიონეტების თეატრი (აშშ).

**კინო**

22 ივნისი

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო და საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (მე-2 დარბაზი და საზაფხულო), **საქართველო** (წითელი და მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო და საზაფხულო), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — თოჯინები იცინიან, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, კოლხიდა** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კოსმოსი** — მოკითხვამდე, **თბილისი, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, გაზაფხული, ნაკადული, დიდუბე** (საზამთრო), **ისანი** (საზაფხულო) — ჟურნალისტი რომიდან, **26 კომისრის სახელობის** (1-ლი დარბაზი), **კოლმეურნე, თანამგზავრი** — ორი ჯარისკაცი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ყველა შინისაკენ.

**„დინამოს“ სტადიონი**
(აკ. წერეთლის პროსპ. № 2)
22 ივნისს
**ფეხბურთი**



ამხანაგური შეხვედრა ქ. თბილისის მსაჯთა კოლეგიის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.
**ხელოვნების მუშაკთა ნაკრები გუნდი — მსაჯთა კოლეგიის ნაკრები გუნდი.**
დასაწყისი 17 საათზე.
წვიმიანი ამინდის შემთხვევაში თამაში გადაიდება.



**კომუნისტი** Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 8-20-43, განცხადებების — 8-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 01099

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.